

# ს ა რ ჩ ე ვ ი

1. შესავალი.....	2
2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზღვევა და “ღია მთავრობა” საქართველოში - ფიქცია თუ სინამდვილე?.....	4
2.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზღვევა საქართველოში.....	4
2.2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიკვდილი.....	6
3. ინფორმაციის თავისუფლების სტატუსი სამართაშორისო სამართალში.....	8
4. არის თუ არა გამომიშვის ინტერესები ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი?.....	15
4.1. ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველები.....	15
4.2. სისხლისსამართლებრივი გამოძიება - ინფორმაციის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი.....	18
5. უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტი?.....	20
5.1. ამერიკული მოდელი.....	20
5.2. საერთაშორისო სტანდარტები - “ზიანის ტესტი” და “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტი.....	27
5.3. სიმართლის ცოდნის უფლება.....	31
6. დასკვნა.....	34

## ინფორმაციის თავისუფლება და გამომქიების ინტერესები

### 1. შესავალი

“მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესები” საქართველოს ხელისუფლებისათვის მრავალი წლის განმავლობაში საზოგადოებისაგან სიმართლის დამალვის ეფექტიანი საშუალება იყო. წლების განმავლობაში მაღალი რანგის ჩინოვნიკებისა და მათი უახლოესი თანამებრძოლების დანაშაულებრივი მოქმედებების დასაფარავად, საზოგადოებისაგან მალულად,

- ყალბდებოდა მტკიცებულებები,
- სისხლისსამართლებრივი საქმეები,
- ირღვეოდა საქმის სამართლიანი განხილვისა და სამართლიანი სასამართლოს უფლება,
- გამოჩენილი საზოგადოებრივი მოღვაწეების მკვლელობები “უბედური შემთხვევებითა” და “თვითმკვლელობებით” ინიღბებოდა,
- ხელისუფლება მიზანმიმართულად ცდილობდა საზოგადოების შეცდომაში შეყვანას განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე.

მაშინ, როდესაც შესაბამისი გარემოებების არსებობისას, სახელმწიფოს უფლება აქვს შეზღუდოს განსაზღვრული კატეგორიის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, “მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესების” მოშველიებით, საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა საერთაშორისო სტანდარტებით ნებადართულზე უფრო მეტად დაეხმო საზოგადოების მიერ სიმართლის ცოდნის უფლება.

2003 წლის ნოემბერში, მშვიდობიანი “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ე.შევარდნაძის დრომოჭმული რეჟიმი, დასავლურ ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებულმა, ახალგაზრდა, ენერგიულ ლიდერთა

გუნდმა შეცვალა. თუმცა, ხელისუფლების გამჭვირვალობის თვალსაზრისით ვითარება რადიკალურად არ შეცვლილა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რეჟიმის ცვლილებასთან ერთად ავტორიტარად არ ქრება ხელისუფალთა ცდუნება, იმუშაონ მაქსიმალური დახურულობის რეჟიმში და შეძლებისდაგვარად დაუმალონ საზოგადოებას სიმართლე.

წინამდებარე კვლევა მიზნად არ ისახავს იმ მთელი რიგი ვალდებულებების შესწავლას, რომლებიც ძალოვან სტრუქტურებს აქვთ სისხლისსამართლებრივი გამოძიების პროცესში. ამ ნაშრომის მიზანი არც პოსტრევოლუციური საქართველოს დღემდე ყველაზე უფრო სკანდალური მოვლენის - საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიკვდილის ოფიციალური ვერსიის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება და მთელი დისკუსიის ერთი კონკრეტული საქმის ვიწრო ჩარჩოებში განხილვაა.

პირიქით, ჩვენი მიზანია საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით განვიხილოთ, როგორ ბალანსდება სისხლისსამართლებრივი გამოძიებისათვის დამახასიათებელი აუცილებელი კონფიდენციალურობა და განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეებზე საზოგადოების მიერ სიმართლის ცოდნის უფლება. იმის გათვალისწინებით, რომ სისხლისსამართლებრივი გამოძიება წარმოადგენს იმ ლეგიტიმურ საფუძველს, რომელსაც შეუძლია გაამართლოს განსაზღვრული ტიპის ინფორმაციის დახურულობა საზოგადოებისათვის, კვლევის ავტორი შეეცდება პასუხი გასცეს შეკითხვას – რომელ ინტერესს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, როდესაც სასწორის სხვადასხვა პინაზე დევს საზოგადოების მიერ ინფორმაციის მიღების უფლება და სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესები.

ამ ამოცანის გადასაჭრელად თავდაპირველად მიმოვიხილავთ საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივ სტატუსს. შესაბამისი თავი ორი ქვეთავისგან შედგება, იმის საილუსტრაციოდ, რომ საქართველოში კონსტიტუციური გარანტიები და რეალობა ერთმანეთისაგან თვალშისაცემად განსხვავდება. მომდევნო თავში განხილული

იქნება ინფორმაციის თავისუფლების სტატუსი საერთაშორისო სამართალში. ამას მოჰყვება ინფორმაციის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძვლების ანალიზი დამკვიდრებული საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების ფონზე. ასევე იქნება განხილული სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის ლეგიტიმურობა და დასაშვები ფარგლები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. დაბოლოს, კვლევის ავტორი შეეცდება პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზების მოძიებას.

## **2. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება და “ღია მთავრობა” საქართველოში - ფიქცია თუ სინამდვილე?**

### **2.1. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება საქართველოში**

საქართველოს კონსტიტუცია გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების მყარ კონსტიტუციურ გარანტიებს ქმნის. კონსტიტუციის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად,

*ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.*

გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებასთან ერთად, კონსტიტუციის 41-ე მუხლის 1-ლი პუნქტი ერთმნიშვნელოვნად აღიარებს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. კერძოდ, 41 (1)-ე მუხლის თანახმად,

*საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გაცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, აგრეთვე იქ არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს, თუ ისინი არ შეიცავენ სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.*

საერთაშორისო სამართლის მიერ აღებული კურსის შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუცია ითვალისწინებს გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძვლებს. 24-ე მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც ზღუდავს ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების გარანტიებს, ადგენს:

*ამ მუხლის პირველ და მეორე პუნქტებში ჩამოთვლილ უფლებათა განხორციელება შესაძლებელია კანონით შეიზღუდოს ისეთი პირობებით, რომლებიც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, სხვათა უფლებებისა და ღირსების დასაცავად, კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.*

24 (IV)-ე მუხლი ფაქტობრივად იმეორებს ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-10 (2) მუხლში ასახულ გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების დასაშვებ შეზღუდვებს და, საბოლოოდ, საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს აკმაყოფილებს.

სახელმწიფო დანესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კონსტიტუციური გარანტიები განმტკიცებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავით, რომლის მიხედვითაც, “საჯარო დანესებულებაში დაცული, აგრეთვე საჯარო დანესებულების ან მოსამსახურის მიერ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან გაგზავნილი ინფორმაცია” წარმოადგენს ღია საჯარო ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს ფართო საზოგადოებისათვის. თუმცა, კოდექსის მე-3 (IV) მუხლი მთლიანად კოდექსის მოქმედების ფარგლებს გარეთ აქცევს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცალკეული

საქმიანობების სფეროებს. კერძოდ, მე-3 (IV) მუხლის თანახმად,

*კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია:*

ა) დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან;

ბ) ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან;

გ)...

აღნიშნული დებულება, რომელიც ძალიან ხშირად სამოქალაქო საზოგადოების კრიტიკის საგანია, მუდმივად ემსახურება “პოლიტიკურად არახელსაყრელი” ინფორმაციის საზოგადოებისთვის მაქსიმალური დახურვის მიზანს. სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ამას საჭიროდ თვლის პოლიტიზებული გენერალური პროკურატურის აპარატი. დანარჩენ შემთხვევებში, საქართველოს გენერალური პროკურატურა მიმდინარე გამოძიებას განიხილავს როგორც აბსოლუტურ კოზირს ინფორმაციის თავისუფლებაზე.

## **2.2. საქართველოს პრემიერ-მინისტრის სიკვდილი**

ერთ წელიწადზე მეტი გავიდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის საიდუმლოებით მოცული სიკვდილიდან. მიუხედავად ამისა, მისი მოულოდნელი და შოკის მომგვრელი სიკვდილის გამოძიება კვლავ უამრავ შეკითხვას ბადებს. მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ვერსიის თანახმად, პრემიერ-მინისტრი და მისი პოლიტიკური თანამებრძოლი რაულ უსუპოვი არასწორად დამონტაჟებული გაზის გამათბობლიდან გაჟონილი ცარბონ მონოხიდე-ით დაიღუპნენ, არც დაღუპულთა ოჯახები და არც ფართო საზოგადოება არ იზიარებს ხელისუფლების ამ ვერსიას.

ბევრისთვის გასაოცრად, გამოძიების პირველივე წუთებიდან, მაღალი თანამდებობის პირები გამუდმებით იმეორებდნენ, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება უბედური შემთხვევა იყო. ხელისუფლების წარმომადგენელთა სიჩქარემ, – ზურაბ ჟვანიას სიკვდილის მიზეზად გაზით მონამვლა დაესახელებინათ ისე, რომ არ დალოდებოდნენ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის შედეგებს, უამრავი პასუხგაუცემელი შეკითხვა დაბადა.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომელმაც საზოგადოებას პირველმა ამცნო პრემიერ-მინისტრის გარდაცვალება ტრაგედიის პირველივე საათებში, განაცხადა:

*ეს უბედური შემთხვევაა. პირადად ვიყავი შემთხვევის ადგილას. შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ალბათ, ეს იყო გაზით მოწამვლის შემთხვევა. ოთახში დამონტაჟებული იყო ირანული გაზის გამათბობელი. სიკვდილი, ალბათ, მომენტალურად დადგა.*

ჟურნალისტის შეკითხვაზე, როგორ დაასკვნა ტრაგედიიდან რამდენიმე საათში, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან გვქონდა, მინისტრმა ოთახში არსებული გაზის სუნი დაასახელა. როგორ ჩანს, შინაგან საქმეთა მინისტრს აშკარად დაავიწყდა მეცნიერული ფაქტი, რომ carbon monoxide-ს (ნახშირჟანგს) სუნი არა აქვს.

ზურაბ ჟვანიას ოჯახის წევრებისა და ჟურნალისტების მიერ გამოაშკარავებულმა არაერთმა უზუსტობამ, რომლებიც არსებობდა გენერალური პროკურატურის განცხადებებსა და აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ მომზადებულ დასკვნას შორის, გამოძიების პროცესში სერიოზულმა პროცედურულმა დარღვევებმა და შეუსაბამობებმა, კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოების ეჭვი ტრაგედიის ოფიციალური ვერსიის ირგვლივ. ის გარემოება, რომ გენერალურმა პროკურატურამ ჯერ კიდევ ვერ შეძლო “ტრაგიკული უბედური შემთხვევის” გამოძიების დასრულება, კიდევ უფრო მეტი იდუმალებას სძენს პრემიერის სიკვდილს.

გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ოჯახის, ოპოზიციის, ადამიანის უფლებათა აქტივისტების, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისა და რიგითი მოქალაქეების მიერ დასმული უამრავი შეკითხვა, ეჭვი და ნუხილი კვლავ პასუხგაუცემელია. გენერალური პროკურატურის ერთადერთი პასუხი –

*მიმდინარეობს გამოძიება... გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია არ შეიძლება გაცემულ იქნეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 3(4)-ე მუხლის თანახმად,*

კიდევ უფრო მეტად აღვივებს საზოგადოების ეჭვებს. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას სჯერა, რომ პრემიერ-მინისტრი მოკლეს.

“მოკვდა თუ მოკლეს?” - ყოველკვირეული გაზეთის პირველ გვერდზე განთავსებული სტატია ფართო საზოგადოების ეჭვების გამოძახილია.

აქვს თუ არა საზოგადოებას უფლება, იცოდეს სიმართლე საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ინტერესის მქონე საკითხებზე, გადანონოს მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესები, განხილული იქნება კვლევის მომდევნო თავებში.

### **3. ინფორმაციის თავისუფლება საერთაშორისო საპარტალში**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ თავის პირველსავე სესიაზე განაცხადა:

*ინფორმაციის თავისუფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა და... იმ თავისუფლებათა საფუძველს წარმოადგენს, რომელსაც გაერო ეფუძნება.*

მოგვიანებით, ადამიანის უფლებამ “მიიღოს, ეძიოს და გაავრცელოს ინფორმაცია,” რომელიც გამოხატვის თავისუფლების განუყოფელ ნაწილად იქცა, თითქმის ყველა ძირითად უნივერსალურ და რეგიონალურ ადამიანის უფლებათა დოკუმენტში პოვა ასახვა. მიუხედავად ამისა, ტრადიციულად, ინფორმაციის თავისუფლების უფლების ჩარჩოებს ზოგიერთი ადამიანის უფლებათა დამცველი ორგანო შეზღუდულად განმარტავს. მაგალითად, საქმეში *ლინდერი შვედეთის წინააღმდეგ*, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლომ განაცხადა:

*ინფორმაციის მიღების თავისუფლება ძირითადად გულისხმობს, რომ მთავრობას ეკრძალება შეზღუდოს პირის უფლება მიიღოს ინფორმაცია, რომელიც სხვებს სურთ ან შეიძლება სურდეთ მას გადასცენ. [კონვენციის] მე-10 მუხლი არ ანიჭებს პიროვნებას უფლებას ხელი მიუწვდებოდეს რეესტრზე, რომელიც შეიცავს მის პერსონალურ მონაცემებს. მე-10 მუხლი არც მთავრობას ავალდებულებს, მსგავსი ინფორმაცია ამ პიროვნებაზე გასცეს.*

ამ გადაწყვეტილებით ევროპის სასამართლომ მიუთითა, რომ მისი შეხედულებით, კონვენციის მე-10 მუხლით გარანტირებულია არა ზოგადად საჯარო დაწესებულებებიდან ინფორმაციის მიღების უფლება, არამედ პიროვნების უფლება მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია ხელისუფლების მხრიდან ჩარევის ან ხელშეშლის გარეშე. საქმეში *გასკინი შეერთებული სამეფოს წინააღმდეგ*, ევროპის სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა თავისი პოზიცია, სადაც ერთსულოვნად მიუთითა რომ “მე-10 მუხლი არ ავალდებულებს სახელმწიფოს პიროვნებას ინფორმაცია გადასცეს.” სასამართლოს პოზიცია გაიზიარა ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისმა კომისიამ. თავის ყოველწლიურ მოხსენებაში, კომისიამ განაცხადა:

*ინფორმაციის თავისუფლება უნივერსალური უფლებაა და გულისხმობს ადამიანთა კოლექტიურ უფლებას მიიღონ ინფორმაცია ყოველგვარი ხელშეშლისა და ინფორმაციის დამახინჯების გარეშე.*

გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის პოზიცია ინფორმაციის თავისუფლების უფლების სამართლებრივი ჩარჩოების შესახებ ჯერჯერობით უცნობია. დღემდე კომიტეტს არ ჰქონია შესაძლებლობა განეხილა, ავალდებულებს თუ არა სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 (2) მუხლი ნევრ-სახელმწიფოებს, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად იმისა, რომ ინფორმაციის თავისუფლების უფლების სამართლებრივი საფუძველი საკმაოდ დიდი ხნის წინ ჩაიყარა, სახელმწიფოთა პოზიტიურ ვალდებულებას, – უზრუნველყონ სახელმწიფო დანესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, მხოლოდ საერთაშორისო, რეგიონალურ და ეროვნულ დონეზე უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მიმდინარე მოვლენებმა ჩაუყარა საფუძველი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დონეზე, აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის (შემდგომში “სპეციალური მომხსენებელი”) ინტენსიურმა მუშაობამ სტიმული მისცა გაეროს ორგანოებს ინფორმაციის თავისუფლება გამოხატვის თავისუფლების ძირითად შემადგენელ ნაწილად ელიარებინათ. 1997 წელს სპეციალურმა მომხსენებელმა შეშვოთება გამოთქვა “სულ უფრო და უფრო მეტი მთავრობის მზარდი ტენდენციის გამო, მაქსიმალურად დაუმალონ საზოგადოებას ინფორმაცია” და მოუწოდა გაეროს ორგანოებს, მკაცრად შეემოწმებინათ მსგავსი პრაქტიკა. ერთი წლის შემდეგ, თავის 1998 წლის ყოველწლიურ მოხსენებაში, სპეციალურმა მომხსენებელმა ინფორმაციის თავისუფლების უფლების ჩარჩოები მნიშვნელოვნად გააფართოვა. სპეციალურმა მომხსენებელმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ინფორმაციის თავისუფლების უფლება სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას არა მარტო ხელი არ შეუშალონ პიროვნების უფლებას ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, არამედ მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ

სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

*[ადამიანის] უფლება ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია... პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს უზრუნველყოს ინფორმაციის, განსაკუთრებით კი სახელმწიფოს ყველა სახის ორგანოსა და საძიებელ სისტემაში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.*

გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2000 წლის ყოველწლიური ანგარიშიდან ნათლად ჩანს, რომ ინფორმაციის თავისუფლების უფლება განიხილება არა როგორც გამოხატვის თავისუფლების შემადგენელი ნაწილი, არამედ უკვე თვითმყოფადი, ფუნდამენტური უფლება.

*სპეციალურ მომხსენებელს სურს კიდევ ერთხელ განაცხადოს, რომ ადამიანის უფლება ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია წარმოადგენს არა უბრალოდ აზრის და გამოხატვის თავისუფლების უფლების დანამატს, არამედ იგი თვითმყოფადი, დამოუკიდებელი უფლებაა.*

სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარების პარალელური პროცესები მიმდინარეობდა ადამიანის უფლებათა დაცვის სამივე რეგიონალური სისტემის დონეზე.

აფრიკის გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დეკლარაციაში, რომელიც მიიღო აფრიკის ადამიანისა და ხალხთა უფლებების კომისიამ, ხაზგასმულია გარემოება, რომ სახელმწიფო ორგანოები “ინფორმაციას ფლობენ არა საკუთარი თავისთვის, არამედ როგორც საზოგადოებრივი სიკეთის მოდარაჯენი.” დეკლარაცია აღიარებს ყოველი ადამიანის უფლებას, ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო ორგანოებში დაცულ ინფორმაციაზე. გარდა ამისა, დეკლარაცია ავალდებულებს მთავრობებს, გამოაქვეყნონ საზოგადოებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია ინდივიდუალური მოთხოვნის არარსებობის შემთხვევაშიც კი.

ინფორმაციის თავისუფლების სამართლებრივი ჩარჩოებისა და მნიშვნელობის აღიარების მხრივ ვითარება რადიკალურად შეიცვალა ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკათშორის სისტემაშიც. 1980-1981 წლების ყოველწლიური ანგარიშებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ამერიკათშორისი კომისია უკიდურესად ფრთხილი იყო ინფორმაციის თავისუფლების უფლების მიმართ, 20 წლის შემდეგ კომისიის მიერ მიღებულმა გამოხატვის თავისუფლების პრინციპების დეკლარაციამ ინფორმაციის თავისუფლების უფლების პროგრესულ განვითარებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. დეკლარაციის პრეამბულა ხაზს უსვამს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის განსაკუთრებულ როლს მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის საქმეში. გარდა ამისა, დეკლარაცია ერთმნიშვნელოვნად აღიარებს, რომ სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება თვითმყოფადი, ფუნდამენტური უფლებაა.

*სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა თითოეული ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. სახელმწიფოები ვალდებული არიან, უზრუნველყონ ამ უფლებით შეუზღუდავად სარგებლობა.*

პირველ საქმეში, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების უფლებას ეხება, ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკათშორისმა კომისიამ მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი პრინციპების დეკლარირება მოახდინა. კომისიამ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ამერიკული კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებულია სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება, რაც, თავის მხრივ, სახელმწიფოებს აკისრებს შესაბამის ვალდებულებას, უზრუნველყონ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. გარდა ამისა, კომისიამ განმარტა, რომ მე-13 მუხლი სახელმწიფოებს უდგენს მოთხოვნას, ეროვნული კანონმდებლობით უზრუნველყონ ოფიციალური

ინფორმაციის “ლიაობის პრეზუმფცია.” გაიზიარებს თუ არა კომისიის მოსაზრებას ამერიკათშორისი სასამართლო, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების - უზრუნველყოს სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - საერთაშორისო აღიარებამ ასახვა პოვა ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ სისტემაშიც. 2002 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის შესახებ. რეკომენდაცია ევროპის საბჭოს წევრ-სახელმწიფოებს ავალდებულებს, უზრუნველყონ თითოეული ადამიანის უფლება, ხელი მიუწვდებოდეს სახელმწიფო ორგანოებში დაცულ ოფიციალურ დოკუმენტებზე. ამერიკათშორის და აფრიკულ დეკლარაციებთან შედარებით, რეკომენდაციის ფორმულირება უფრო ფრთხილი და ნაკლებად მომთხოვნია და სახელმწიფოებს აძლევს შესაძლებლობას ცალკეული საკითხები საკუთარი შეხედულებისამებრ გადანყვიტონ. მიუხედავად ამისა, რეკომენდაცია ევროპაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის აღიარებისაკენ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია.

გამოხატვის თავისუფლების სამი სპეციალური მანდატის - აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის, ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის გამოხატვის თავისუფლების სპეციალური მომხსენებლისა და ეუთოს მედიის თავისუფლების წარმომადგენლის მიერ მიღებული ერთობლივი დეკლარაცია კიდევ ერთხელ განამტკიცებს სახელმწიფო ორგანოებში დაცული საჯარო ინფორმაციის ფუნდამენტურ ხასიათს. დეკლარაცია პოზიტიურ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოს, უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველასათვის და ინფორმაციის მაქსიმალური ლიაობის პრეზუმფციას ადგენს.

*სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა, რომლის ხორცშესხმაც*

*ეროვნულ დონეზე სრულყოფილი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა მოხდეს... კანონმდებლობა უნდა ეფუძნებოდეს მაქსიმალური ღიაობის პრეზუმფციას, რომლის მიხედვითაც [სახელმწიფო ორგანოებში დაცული] ყველა სახის ინფორმაცია ხელმისაწვდომია, გარდა ვიწროდ განსაზღვრული ცალკეული გამონაკლისებისა.*

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება აღიარებულია საერთაშორისო სამართალში. მართალია, ზემოთ მითითებული ყოველნაირი მოხსენებები, დეკლარაციები და რეკომენდაციები, თავიანთი შინაარსიდან გამომდინარე, სახელმწიფოებისათვის სავალდებულო ქცევის ნორმებს არ ადგენენ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტების შესაბამისი დებულებების განმარტებისათვის სახელმძღვანელო პრინციპებია. ეს განცხადება საფუძველმოკლებული არ მოგვეჩვენება, თუ მხედველობაში მივიღებთ საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე ფართო მოთხოვნას და იმას, რომ, მაგალითად, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლო ევროპის კონვენციას განიხილავს როგორც “ცოცხალ ინსტრუმენტს... რომლის განმარტებაც დღევანდელი დღის მოთხოვნებიდან გამომდინარე უნდა მოხდეს.”

ინფორმაციის თავისუფლების უფლების საყოველთაო საერთაშორისო აღიარების შედეგად, მთელს მსოფლიოში უპრეცედენტო რაოდენობის სახელმწიფოებმა მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ კანონმდებლობა. 2004 წლის მაისს მოწყობილი საყოველთაო გამოკვლევის შედეგად, მსოფლიოში დაახლოებით ორმოცდაათამდე სახელმწიფოს უკვე აქვს საჯარო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თაობაზე სრულყოფილი კანონმდებლობა, ხოლო ოცდაათამდე – კანონმდებლობის დახვეწისა და შექმნის პროცესშია.

#### 4. არის თუ არა გამომქიების ინტერესები ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი?

##### 4.1. ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველები

“დემოკრატია პარადოქსს ეფუძნება: გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების აღიარებასთან ერთად, ის მის ოპონენტებს აძლევს საშუალებას, ძირი გამოუთხარონ მის არსებობას.” ეს საშუალებები ძირითადად სხვადასხვა შეზღუდვის სახით გვევლინება, რომლებსაც მთავრობები, მათ შორის, დემოკრატიულებიც, თავიანთი საქმიანობის საზოგადოებრივი კონტროლისაგან ფარულად წარმართვისათვის იყენებენ. თუმცა, მეორე მხრივ, ვინაიდან გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლების უფლება ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობას მოიცავს, ის არ შეიძლება აბსოლუტურ უფლებად ჩაითვალოს. თავისთავად იბადება კითხვა – რა გარემოებების არსებობას შეუძლია გაამართლოს ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალში.

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის თითქმის ყველა ძირითადი დოკუმენტი ითვალისწინებს იდენტურ, სამი ნაწილისაგან შემდგარ ტესტს იმის დასადგენად, თუ რამდენად ლეგიტიმურია გამოხატვის თავისუფლებაზე დაწესებული შეზღუდვები. რამდენადაც ადამიანის უფლება “ეძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია” გამოხატვის თავისუფლების ძირითადი შემადგენელი ნაწილია, ეს ტესტი შეიძლება სავსებით ლეგიტიმურად შევუფარდოთ ინფორმაციის თავისუფლების უფლებასაც. ტესტის მიხედვით, ნებისმიერი შეზღუდვა,

1. გათვალისწინებული უნდა იყოს კანონით;
2. მიზნად უნდა ისახავდეს შესაბამისი მუხლით პირდაპირ მითითებული ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური ინტერესის დაცვას;
3. აუცილებელი უნდა იყოს ამ მიზნების მისაღწევად.

აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტისა და ადამიანის უფლებების შესახებ ამერიკის კონვენციისაგან განსხვავებით, ევროპის კონვენცია ტესტის მესამე ნაწილს კიდევ ერთ მოთხოვნას უმატებს – კერძოდ, შეზღუდვები აუცილებელი უნდა იყოს “დემოკრატიულ საზოგადოებაში.”

ლეგიტიმური ინტერესები, რომელთა დასაცავადაც ინფორმაციის თავისუფლების უფლება შეიძლება შეზღუდოს, უმნიშვნელოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ევროპისა და ამერიკის ადამიანის უფლებათა კონვენციების მიხედვით. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-19 მუხლის მიხედვით, უფლება შეიძლება შეზღუდოს “სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის,” “ეროვნული უშიშროების,” “საზოგადოებრივი წესრიგისა” და “საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და მორალის” დასაცავად.

ამერიკის კონვენციის მე-13 მუხლი აშკარად იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის ფორმულირებას.

ევროპის კონვენცია აფართოებს დასაშვები შეზღუდვების სიას და ამატებს მას ისეთ ლეგიტიმურ ინტერესებს, როგორცაა “ტერიტორიული მთლიანობა ან საზოგადოებრივი უსაფრთხოება,” “დანაშაულის პრევენცია,” “კონფიდენციალურად მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება” და “სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის შენარჩუნება.”

ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობის უფლებაზე დაწესებული შეზღუდვების ლეგიტიმურობის განსასაზღვრად ძირითადად იმეორებს ზემოთ მითითებულ ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში დადგენილ მოთხოვნებს. თუმცა, ლეგიტიმურ ინტერესთა რიცხვი, რომელთა დასაცავადაც ინფორმაციის

თავისუფლების უფლების შეზღუდვა შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს, გაცილებით უფრო ფართოა და შემდეგ ინტერესებს მოიცავს:

1. ეროვნული უშიშროება, თავდაცვა და საერთაშორისო ურთიერთობები;
2. საზოგადოებრივი უსაფრთხოება;
3. სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოქმედებების პრევენცია, გამოძიება და დასჯა;
4. პირადი ცხოვრების საიდუმლოება და სხვა ლეგიტიმური პირადი ინტერესები;
5. კომერციული ან სხვა ეკონომიკური ინტერესები, მიუხედავად მათი კერძო თუ საჯარო ხასიათისა;
6. სასამართლო პროცესის მონაწილე მხარეთა თანასწორობა;
7. ბუნება;
8. საჯარო ორგანოების მიერ განხორციელებული ინსპექტირება, კონტროლი და მეთვალყურეობა;
9. სახელმწიფოს ეკონომიკური, სავალუტო და გაცვლით კურსთან დაკავშირებული საქმიანობა;
10. გადაწყვეტილების მომზადების პროცესში სახელმწიფო დაწესებულებებში ან სახელმწიფო დაწესებულებათა შორის განხილვის კონფიდენციალურობა;

მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია მნიშვნელოვნად აფართოებს იმ ლეგიტიმურ ინტერესთა წრეს, რომელთა დასაცავადაც სახელმწიფოებს უფლება აქვთ უარი განაცხადონ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, რამდენიმე პროგრესული დებულებიდან გამომდინარე, ის მაინც წინგადადგმული ნაბიჯია. ეს დებულებები დეტალურად იქნება განხილული მომდევნო თავებში.

#### 4.2. სისხლისსამართლებრივი გამოძიება - ინფორმაციის თავისუფლების უფლების შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი

ზემოაღნიშნული დოკუმენტებიდან მხოლოდ ევროპის საბჭოს მიერ მიღებული რეკომენდაცია ითვალისწინებს “სისხლისსამართლებრივად დასჯადი მოქმედებების პრევენციას, გამოძიებასა და დასჯას” როგორც კანონიერ ინტერესს, რომლის დასაცავადაც სახელმწიფოს უფლება აქვს უარი თქვას მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე. თუმცა, ეს გარემოება სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ავტომატურად ჩაითვლება უკანონოდ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის, ევროპისა და ამერიკის კონვენციების მიხედვით.

შესაბამისი პრეცედენტული სამართლის არარსებობის პირობებში, შეიძლება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო “გამოძიების ინტერესებიდან” გამომდინარე, უარს განაცხადებს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე, და ამავე დროს, დაკმაყოფილებული იქნება ზემოთ მითითებული სამი ნაწილისაგან შემდგარი ტესტის ყველა მოთხოვნა, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა შეიძლება კანონიერად ჩაითვალოს “სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის დაცვის,” “დანაშაულის პრევენციის,” “სასამართლოს ხელისუფლების მიუკერძოებლობის” ან სულაც “საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის” მოტივით.

ვარაუდის სისწორეს მოწმობს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ განხილული საქმე *ტორანშე და ჯუული საფრანგეთის წინააღმდეგ*. მიუხედავად იმისა, რომ საქმე ეხებოდა არა ინფორმაციის, არამედ გამოხატვის თავისუფლების უფლების დარღვევას, სასამართლოს მიერ გადაწყვეტილებაში დადგენილი პრინციპები ანალოგიის წესით შეიძლება ინფორმაციის თავისუფლების უფლებას

მივუსადაგოთ. საქმის გარემოებების მიხედვით, განმცხადებლები, ფრანგი ჟურნალისტები სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში იქნენ მიცემული სისხლისსამართლებრივი საქმის ფაილიდან დოკუმენტების სასამართლო სხდომამდე გამოქვეყნებისათვის. მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ ჟურნალისტებისათვის გამოხატვის უფლებით სარგებლობაში ხელის შეშლა გათვალისწინებული იყო კანონით და აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში, სასამართლომ ხაზი გაუსვა პუბლიკაციის ზიანის მომტან შედეგებს ეჭვმიტანილთა რეპუტაციისა და უფლებების და სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის დასაცავად. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ვინაიდან განმცხადებელთა გამოხატვის უფლებით სარგებლობის ხელყოფა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში სხვათა უფლებებისა და რეპუტაციის და სასამართლოს ხელისუფლებისა და მიუკერძოებლობის დასაცავად, არ დარღვეულა მე-10 მუხლი.

ორგანიზაცია მე-19 მუხლის (ARTICLE 19) მიერ შემუშავებული ინფორმაციის თავისუფლების მოდელური კანონი, რომელიც მოიწონეს აზრისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ გაეროსა და ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის სპეციალურმა მომხსენებლებმა, ითვალისწინებს “სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობას” როგორც ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს, თუმცა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ორგანო აკმაყოფილებს მოდელური კანონის განსაზღვრულ მოთხოვნებს. კერძოდ, 29-ე მუხლის თანახმად,

*ორგანოს შეუძლია უარი განაცხადოს იმის მითითებაზე, ფლობს თუ არა იგი ცალკეულ ჩანაწერს ან უარი განაცხადოს ინფორმაციის მიწოდებაზე, მაშინ, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება, ან მოსალოდნელია, რომ სერიოზული ზიანი მიაყენოს:*

*1. დანაშაულის პრევენციას ან გამოვლენას;*

2. დამნაშავეთა შეპყრობას ან დასჯას;

3. მართლმსაჯულების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობას და, შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ გამოძიებას, როგორც ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს, არაერთი ქვეყნის ინფორმაციის თავისუფლების კანონი იცნობს. თუმცა, განა ეს აღიარება აუცილებლად ნიშნავს იმას, რომ საერთაშორისო სამართლის მიხედვით, სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობა ინფორმაციის თავისუფლების უფლების მიმართ აბსოლუტური უპირატესობით სარგებლობს?

შემდეგ თავში განხილული იქნება ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა და საერთაშორისო სტანდარტები იმის საილუსტრაციოდ, რომ დილემის გადაწყვეტის ოპტიმალური გზებიც არსებობს.

## 5. უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტი?

### 5.1. ამერიკული მოდელი

ალბათ, გაზვიადებული არ იქნება თუ განვაცხადებთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობა სახელმწიფო სტრუქტურებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე უფრო მყარ გარანტიებს იცნობს. ზოგიერთი მკვლევარის განცხადების მიუხედავად, რომ კონსტიტუციის პირველი შესწორებით დაცული იყო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, აშშ-ში მხოლოდ 1966 წელს ინფორმაციის თავისუფლების აქტით გახდა რეალურად შესაძლებელი კონსტიტუციით გარანტირებული “ცოდნის უფლებით” სარგებლობა.

ინფორმაციის თავისუფლების აქტით გათვალისწინებულია სახელმწიფო ორგანოებში დაცული ინფორმაციის მაქსიმალური ღიაობის პრინციპი. გარდა ამისა, აქტი აწესებს მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც, აქტით

გათვალისწინებული ცხრა გამონაკლისის გარდა, ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მთავრობას შეეხება, საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აღსანიშნავია, რომ კანონის თავდაპირველი ვერსია არ ეხებოდა სამართალდაცვის ორგანოების საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებულ ფაილებს, იმ შემთხვევების გარდა, როცა მასალები მხარისთვის ხელმისაწვდომი იყო კანონის საფუძველზე. 1974 წელს აქტმა, განსაკუთრებით კი, გამონაკლისების ნაწილმა, სერიოზული ცვლილებები განიცადა. ცვლილებებს ნაწილობრივ საფუძველად დაედო გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელობის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების აშკარა გადამეტება ნიქსონის ადმინისტრაციის პერიოდში. 1974 წლის ცვლილებების თანახმად, სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობასთან დაკავშირებული მასალები საზოგადოებისათვის გამჟღავნებას არ ექვემდებარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაციის გაცემამ შეიძლება სერიოზული ზიანი მიაყენოს კანონის შესწორებული ნაწილით [ბ(7)] გათვალისწინებულ ერთ-ერთ კანონიერ ინტერესს. ცვლილების თანახმად, სწორედ მთავრობას ეკისრება ვალდებულება ამტკიცოს, რომ ინფორმაცია გამონაკლისთა კატეგორიას განეკუთვნება.

კანონში შეტანილი ცვლილებების მიხედვით:

ინფორმაციის თავისუფლების აქტი არ ვრცელდება სამართალდაცვის საქმიანობის მიზნით შექმნილ დოკუმენტებსა და ინფორმაციაზე მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც ამგვარი მონაცემების ან დოკუმენტების გამჟღავნებამ:

- ა) გონივრულად მოსალოდნელია ხელი შეუშალოს სამართალწარმოებას;
- ბ) პიროვნებას წაართმევს სამართლიანი სასამართლოსა და მიუკერძოებელი განაჩენის უფლებას;
- გ) გონივრულად მოსალოდნელია გამოიწვიოს პირადი ცხოვრების საიდუმლოების უკანონო ხელყოფა;

- დ) გონივრულად მოსალოდნელია გამოიწვიოს კონფიდენციალური წყაროს, მათ შორის, ინფორმაციის მიმწოდებელი სახელმწიფო, ადგილობრივი ან უცხო ქვეყნის დაწესებულების ან ხელისუფლების ორგანოს, ან კერძო დაწესებულების ვინაობის გამჟღავნება; იმ შემთხვევაში, როცა დოკუმენტი ან ინფორმაცია შექმნილია ან შეგროვებულია სამართალდაცვის ორგანოს მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის გამოძიების ან ეროვნულ უშიშროებასთან დაკავშირებული დაზვერვის კანონიერად ჩატარების პროცესში, კონფიდენციალური წყაროს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გამჟღავნება;
- ე) შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან ან დევნასთან დაკავშირებული ტექნიკის ან პროცედურების გამჟღავნება; ან შეიძლება გამოიწვიოს სისხლისსამართლებრივი გამოძიების ან დევნის დირექტივების გამჟღავნება, თუ ამგვარი მონაცემების გახმაურებამ გონივრულად მოსალოდნელია გამოიწვიოს კანონისათვის გვერდის ავლა; ან
- ვ) გონივრულად მოსალოდნელია საფრთხე შეუქმნას პირის სიცოცხლეს ან პირად უსაფრთხოებას.

1974 წლის ცვლილებები კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა გამოძიების ფედერალურმა ბიურომ, რომლის განცხადებითაც, ცვლილებები აფერხებდა კრიმინალურ ინფორმატორებთან მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს ბრალდებები, ერთი შეხედვით, უსაფუძვლო არ ჩანს, მათი შეფასებისას აუცილებელია მხედველობაში იქნეს მიღებული ბიუროს მიერ წარსულში დოკუმენტურად დასაბუთებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენების არაერთი შემთხვევა. რომ არა ერთ-ერთი ჟურნალისტის მიერ შეტანილი წარმატებული სარჩელი, ფართო საზოგადოება, ალბათ, ვერასოდეს გაიგებდა გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ უფლებამოსილების გადაამეტების სისტემატური პოლიტიკის შესახებ.

საქმეში სტერნი რიჩარდსონის წინააღმდეგ, მოსარჩელემ, პროფესიონალმა რადიოჟურნალისტმა სარჩელი შეიტანა ამერიკის შეერთებული შტატების გენერალური პროკურორის წინააღმდეგ, ვინაიდან მას უარი ეთქვა გამოძიების ფედერალური ბიუროს მიერ განხორციელებულ პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტების გაცემაზე. მოთხოვნილი დოკუმენტები ეხებოდა კონტრაზვერვის პროგრამას, კოდური სახელწოდებით - “კოინტელპრო” (COINTELPRO). კერძოდ, ჟურნალისტი ითხოვდა დოკუმენტებს, რომელთა საფუძველზეც:

1. ნებადართულ იქნა “კოინტელპრო” პროგრამის დაწყება და მისი შემდგომი გაგრძელება;
2. მოხდა ამგვარი პროგრამის შეწყვეტა;
3. გაიცა ბრძანება ან ნებადართულ იქნა პროგრამის მიზანში, შინაარსსა და მოქმედების ფარგლებში ცვლილებების შეტანა.

იუსტიციის დეპარტამენტმა აღიარა ინფორმაციის არსებობა, მაგრამ უარი თქვა ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ მოთხოვნილი დოკუმენტები განეკუთვნებოდა ინფორმაციის თავისუფლების აქტით გათვალისწინებულ გამონაკლისთა კატეგორიას, რამდენადაც ეს დოკუმენტები დაკავშირებული იყო სამართალდაცვის ორგანოს მიერ სისხლისსამართლებრივი საქმის გამოძიების მიზნით შექმნილ ფაილებთან.

სასამართლომ ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ ერთადერთი ტესტი, რომლის საფუძველზეც იგი აპირებდა ინფორმაციის გაცემის მიზანშეწონილობის დადგენას, იყო “მნიშვნელოვანი ზიანის ტესტი.”

*[ინფორმაციის თავისუფლების] აქტის საფუძველზე განხორციელებული ნებისმიერი სამართალწარმოების ამოსავალი პრინციპი უნდა იყოს კანონმდებლის აშკარა განზრახვა, უზრუნველყოს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ნებისმიერი ინფორმაციის*

ხელმისაწვდომობა, თუ მათი გამჟღავნება მნიშვნელოვან ზიანს არ მიაყენებს ხელისუფლების ინტერესს. აქტის თანახმად, ინფორმაციის გაცემის ვალდებულება ფართოდ უნდა განიმარტოს, ხოლო გამონაკლისები ვიწროდ.

სასამართლომ განაცხადა, რომ მას არ აკმაყოფილებდა მთავრობის საკუთარ ინტერესებზე ორიენტირებული არგუმენტი, რომლის მიხედვითაც, ვინაიდან დოკუმენტები ინახებოდა “გამოძიების ფაილში,” მათი გამჟღავნება არ იყო ნებადართული. სასამართლომ განმარტა –

*სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობით საზოგადოება უზრუნველყოფს კანონით დადგენილი წესით მიღებული ნორმების შესრულებას. ამ პროცესისათვის ზიანის მიყენება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გამჟღავნებული ინფორმაცია პირს აძლევს შესაძლებლობას დაარღვიოს კანონი და ამავე დროს, თავი აარიდოს გამოძიებას.*

იმდენად, რამდენადაც ჟურნალისტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია არ იყო დაკავშირებული გამოძიების ფედერალური ბიუროს დეტალურ საგამოძიებო საქმიანობებთან, რომელთა სახალხო გამჟღავნებაც საშუალებას მისცემდა პოტენციურ კრიმინალს “დაერღვია კანონი და დამალვოდა გამოძიებას,” სასამართლომ დაასკვნა – მთავრობამ ვერ მოახერხა დაემტკიცებინა, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია გამონაკლისთა კატეგორიას განეკუთვნებოდა.

სასამართლო გადაწყვეტილება რამდენიმე სახელმძღვანელო პრინციპს ადგენს:

1. ინფორმაციის თავისუფლების აქტის ამოსავალი პრინციპია მაქსიმალური ღიაობა;
2. მტკიცების ტვირთი ეკისრება დაწესებულებას, რომელიც უარს ამბობს ინფორმაციის გამჟღავნებაზე;

3. უზრუნველყოფილი უნდა იყოს სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ყველა სახის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, თუ მათი გამჟღავნება მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს მთავრობის განსაკუთრებულ ინტერესებს.

ბუნებრივია, აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა იცნობს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ წარუმატებელ საქმეებსაც, როდესაც მთავრობამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ სამართალდაცვით ორგანოებში დაცული ცალკეული საგამოძიებო მასალების გამჟღავნება “გონივრულად იყო მოსალოდნელი, რომ ზიანს მიაყენებდა სამართალწარმოებას.” შესაბამისად, დოკუმენტები კანონიერად იქნა დაცული გამჟღავნებისაგან ინფორმაციის თავისუფლების აქტის (ბ)(7)(ა) დებულების მიხედვით.

თუმცა, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საქმის განხილვის დროს, სასამართლოები, უპირველეს ყოვლისა, ცდილობენ დარწმუნდნენ, რომ:

1. მასალები შეგროვებულია სამართალდაცვის საქმიანობის მიზნებისათვის;
2. მთავრობას შეუძლია დაამტკიცოს, რომ საქმე გვაქვს მიმდინარე ან პოტენციურ სამართალწარმოებასთან, და რომ ინფორმაციის გამჟღავნება ხელს შეუშლის ამ პროცესს;
3. დოკუმენტის გამჟღავნებას შეუძლია ხელი შეუშალოს მიმდინარე ან პოტენციური გამოძიების პროცესს;

საქმეში *Wichlacz v US Department of Interior*, აშშ-ის პირველი ინსტანციის სასამართლომ უარი განუცხადა საინფორმაციო ბიულეტენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც გაზეთი გამოძიების ფედერალური ბიუროდან თეთრი სახლის მრჩევლის ყოფილი მოადგილის სიკვდილთან დაკავშირებულ ინფორმაციას ითხოვდა. სასამართლომ დასაწყისშივე განმარტა – ვინაიდან კანონის მიერ

დანესებული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, რომლის მიხედვითაც, მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ინფორმაციის გაცემა “გონივრულად მოსალოდნელია რომ ხელს შეუშლის სამართალწარმოებას,” – მთავრობა ვალდებული იყო, დაემტკიცებინა:

1. რომ მიმდინარეობდა ან მოსალოდნელი იყო სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების დაწყება; და
2. მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემას შეეძლო მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება;

მოპასუხემ შეძლო სასამართლოს დარწმუნება, რომ ინფორმაციის საჯარო გამჟღავნებას შეეძლო გამოეწვია მონმეთა დაშინება ან შევიწროება და პოტენციურ მონმეთა მხრიდან თანამშრომლობაზე უარის თქმა სხვა მონმეთა ვინაობის გამჟღავნების შემდეგ; ასევე, მონმეთა მიერ ჩვენებების გადათქმა, შეცვლა ან შეთხზვა დაშინების ან შევიწროების შიშით. სასამართლო დარწმუნდა, რომ მოპასუხის დასკვნა გამყარებული იყო ფაქტებით და დაასკვნა – მთავრობამ შეძლო დაემტკიცებინა, რომ მოსარჩელის მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია ინფორმაციის თავისუფლების აქტით გათვალისწინებულ გამონაკლისთა კატეგორიაში ხვდებოდა.

დასასრულ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შეერთებულ შტატებში დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის თანახმად, მხოლოდ ის გარემოება, რომ ინფორმაცია დაკავშირებულია მიმდინარე სისხლისსამართლებრივ გამოძიებასთან, ავტომატურად არ ინვეეს ინფორმაციის გამჟღავნების აკრძალვას. გარდა ამისა, სწორედ სამთავრობო დანესებულების ვალდებულებაა ამტკიცოს, რომ გამოთხოვილი დოკუმენტის გამჟღავნება ხელს შეუშლის, დააბრკოლებს ან სხვა გზით მიაყენებს ზიანს მიმდინარე ან მოსალოდნელ სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.

## 5.2. საერთაშორისო სტანდარტები - “ზიანის ტესტი” და “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტი

მიუხედავად იმისა, რომ შეერთებული შტატებისაგან განსხვავებით, დანარჩენი მსოფლიო გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლებას არ განიხილავს როგორც აბსოლუტურ ქეშმარიტებას, ინფორმაციის თავისუფლებიდან გამონაკლისების მიმართ შემზღუდავმა მიდგომამ მაინც ჰპოვა ასახვა განვითარებად საერთაშორისო სტანდარტებში.

უფრო მეტიც, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე მიმდინარე პროცესები კიდევ უფრო შორს მიმავალი აღმოჩნდა. კერძოდ, უკვე დამკვიდრებული საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ინფორმაციის თავისუფლების უფლების თითოეული გამონაკლისი არა მარტო შეერთებულ შტატებში დამკვიდრებულ “ზიანის ტესტს,” არამედ “საზოგადოებრივი ინტერესის ტესტსაც” უნდა აკმაყოფილებდეს.

მაგალითად, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული რეკომენდაცია სახელმწიფოს უდგენს მოთხოვნას სამთავრობო სტრუქტურებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა უზრუნველყოს მაშინაც კი, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს რეკომენდაციაში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ ინტერესებს, თუ მოთხოვნილი ინფორმაციის გამჟღავნების უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს. რეკომენდაციის მე-4(2) პრინციპის თანახმად:

*[განმცხადებელს შეიძლება] უარი ეთქვას ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, თუ ოფიციალურ დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის გამჟღავნება ზიანს მიაყენებს ან შესაძლოა ზიანი მიაყენოს პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ერთ-ერთ ლეგიტიმურ ინტერესს, იმ შემთხვევის გარდა, როცა ინფორმაციის გამჟღავნების უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს.*

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ “სისხლისსამართლებრივად დასჯად მოქმედებათა პრევენცია, გამოძიება და დასჯა” ზემოაღნიშნულ სიაში გათვალისწინებულია როგორც ერთ-ერთი ლეგიტიმური მიზანი. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ინტერესს უპირატესობა აქვს მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესებისათვის “აბსოლუტურად აუცილებელ” (როგორც ამას ხშირად აცხადებენ სამართალდაცვის ორგანოები) კონფიდენციალურობაზე.

პრინციპი, რომლის მიხედვითაც მოთხოვნილი ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნებულ იქნეს, თუ ინფორმაციის გაცემის უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობს, განმტკიცდა გამოხატვის თავისუფლების შესახებ სამი სპეციალური მანდატის მიერ მიღებულ ერთობლივ დეკლარაციაში, რაც, თავის მხრივ, პრინციპის როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე მოწონებას ადასტურებს. დეკლარაციაში მითითებულია:

*ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლება შეიძლება დაექვემდებაროს ვიწრო, ფრთხილად შემუშავებულ გამონაკლისების სისტემას... გამონაკლისები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იქ, სადაც დაცული ინტერესისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხე არსებობს და სადაც ზიანი უფრო დიდია, ვიდრე ინფორმაციის ქონის უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი.*

1999 წლის ივნისში მე-19 მუხლმა (ARTICLE 19) მიიღო ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და სახელმწიფოთა საუკეთესო პრაქტიკის ყველაზე მრავალმხრივ ნაკრებს წარმოადგენს. პრინციპები მოიწონა გაეროს აზრისა და

გამოხატვის თავისუფლების თაობაზე სპეციალურმა მომხსენებელმა, მასზე მითითებას შეიცავს ადამიანის უფლებათა კომისიის 2000 წლის რეზოლუცია გამოხატვის თავისუფლების შესახებ.

მე-19 მუხლი (ARTICLE 19) ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დოკუმენტების მიერ დადგენილ სამი ნაწილისაგან შედგენილ ტესტს შემდეგ მოთხოვნებს უმატებს:

საჯარო დაწესებულებას უფლება არა აქვს უარი განაცხადოს ინფორმაციის გაცემაზე, თუ ვერ იქნება ნაჩვენები, რომ ინფორმაცია აკმაყოფილებს შემდეგ სამი ნაწილისაგან შემდგარ ტესტს:

1. ინფორმაცია დაკავშირებული უნდა იყოს კანონში ჩამოთვლილ ლეგიტიმურ მიზანთან;
2. ინფორმაციის გამჟღავნება უნდა ქმნიდეს ამ მიზნისათვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენების საფრთხეს;
3. ზიანი უფრო დიდი უნდა იყოს, ვიდრე ინფორმაციის ქონის საზოგადოებრივი ინტერესი;

ტესტის პირველი ნაწილის მოთხოვნის თანახმად, სახელმწიფო დაწესებულებებში დაცული ინფორმაციის გაცემა ვერ იქნება გამართლებული ვერც ერთი ლეგიტიმური ინტერესით, თუ იგი პირდაპირ არაა გათვალისწინებული კანონით.

ტესტის მეორე ნაწილის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოს ეკისრება ვალდებულება ამტკიცოს, რომ ინფორმაციის გამჟღავნებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს კანონით დაცულ ლეგიტიმურ ინტერესს, მაგალითად, მიმდინარე სისხლისსამართლებრივ გამოძიებას.

ტესტის მესამე ნაწილი სახელმწიფო ორგანოსაგან მოითხოვს, დააბალანსოს “არის თუ არა ინფორმაციის გამჟღავნებით ლეგიტიმური ინტერესისათვის

მოსალოდნელი ზიანის რისკი უფრო დიდი, ვიდრე საზოგადოების ინტერესი, ფლობდეს განსაზღვრულ ინფორმაციას (უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესი).” უპირატესი საზოგადოებრივი ინტერესის ტესტის თანახმად, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სახელმწიფო დანესებულება შეძლებს იმის დემონსტრირებას, რომ ინფორმაციის გამჟღავნებას შეუძლია არსებითად დააზიანოს კანონიერი ინტერესი, იგი ვალდებულია გასცეს ინფორმაცია, თუ ინფორმაციის გამჟღავნების საზოგადოებრივი ინტერესი საკმარისია იმისათვის, რომ მოსალოდნელი ზიანი გადაწონოს.

ტესტის მესამე, ბოლო ნაწილი ბუნებრივად ბადებს შეკითხვას – რას ნიშნავს “საზოგადოებრივი ინტერესი.” ის, რაც საზოგადოებას ხანდახან აინტერესებს ხოლმე? არის კი საჯარო დანესებულება ვალდებული, დააკმაყოფილოს საზოგადოების უბრალო ცნობისმოყვარეობა?

მაგალითად, სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ საქართველოს კანონში “საზოგადოებრივი ინტერესი” განმარტებულია როგორც “საზოგადოების ინტერესი იმ მოვლენისადმი, რომელიც დაკავშირებულია დემოკრატიულ სახელმწიფოში საზოგადოებრივი თვითმმართველობის განხორციელებასთან (და არა ცალკეულ პირთა უბრალო ცნობისმოყვარეობა).” განმარტება ოდნავ ბუნდოვანია, თუმცა იგი იძლევა საშუალებას ტერმინი შეძლებისდაგვარად ფართოდ იქნეს განმარტებული საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

ევროპის სასამართლო “საზოგადოებრივი ინტერესის” ზუსტ განმარტებას არ იძლევა. თუმცა, მაგალითად, საქმეში *ტორგერ ტორგერსონი ისლანდიის წინააღმდეგ*, სასამართლომ განმარტა, რომ “საზოგადოებრივი ინტერესი” მოიცავს ყველა საკითხს, რომელიც აწუხებს საზოგადოებას. მასში აგრეთვე შედის პოლიტიკური დისკუსიაც.

შეერთებული სამეფოს ჟურნალისტთა პროფესიული ორგანო, ჟურნალისტთა ეროვნული გაერთიანება, საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საკითხების, მართალია,

არა ამომნურავ, მაგრამ საილუსტრაციო სიას გვთავაზობს. სია შეიცავს, მაგრამ არ ამოიწურება, შემდეგ საკითხებს:

1. დანაშაულის ან სერიოზული სამართალდარღვევის გამოვლენას;
2. საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვას;
3. ორგანიზაციის ან ცალკეული პიროვნების ზოგიერთი განაცხადის გამო საზოგადოების შეცდომაში შეყვანის აღკვეთას;
4. სახელმწიფო ქონების გაფლანგვის ან საჯარო ორგანოების კორუფციის სხვა ფორმების გამოვლენას;
5. ხელისუფლებაში მყოფი და გავლენიანი პირების პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტის გამოვლენას;
6. მაღალი თანამდებობის პირების არაპირნათელი საქციელის გამოვლენას.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ “საზოგადოებრივი ინტერესი” მოიცავს საზოგადოების ყველა იმ ლეგიტიმურ ინტერესს, რომლის დაკმაყოფილებაც სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ დემოკრატიული კონტროლის განხორციელების აუცილებელი წინაპირობაა.

### 5.3. სიმართლის ცოდნის უფლება

წინამდებარე თავი მოკლედ მიმოიხილავს “სიმართლის ცოდნის უფლებას,” ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ახალ სტანდარტს, რომელიც ადამიანის უფლებათა დაცვის ამერიკათშორის სისტემაში უკანასკნელი წლების განმავლობაში განვითარდა.

პრინციპის წარმოშობას საფუძვლად დაედო ლათინურ ამერიკაში სამხედრო რეჟიმების ცვლა, რომელსაც თან სდევდა სამხედრო დიქტატურების მიერ ჩადენილი ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევისათვის

ანგარიშვალდებულების კანონიერი მოთხოვნა. “სიმართლის ცოდნის უფლება” მხოლოდ ამერიკათშორისი სისტემისათვის დამახასიათებელ ფენომენს ასახავს, რომელიც ცნობილია ამნისტიის კანონების საშუალებით კანონგარეშე მკვლევლობებისა და ადამიანთა მასობრივი გაუჩინარებისათვის პასუხისმგებელ პირთა შეწყალებით. პრინციპი ჩვეულებრივ მოქალაქეთა სასონარკვეთილი სურვილიდან იღებს სათავეს, რომლებსაც უნდოდათ სცოდნოდათ სიმართლე, რა ბედი ეწიათ მათთვის ძვირფას ადამიანებს.

ამერიკათშორისმა კომისიამ უფლების ნარმოშობის საფუძვლად ამერიკის კონვენციის მე-2 და 25-ე მუხლები მიიჩნია, რომლებიც სახელმწიფოს ავალდებულებს გამოიძიოს თავისი იურისდიქციის ფარგლებში ჩადენილი ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები; გამოავლინოს, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს და დასაჯოს დამნაშავე პირები და უზრუნველყოს, რომ დანაშაულის მსხვერპლთ ან მათ უახლოეს ნათესაებს ფუნდამენტური უფლებების დარღვევის წინააღმდეგ დაცვის ადვილი და ეფექტიანი საშუალებები აქვთ.

თუმცა, “სიმართლის ცოდნის უფლება” თანდათანობით ინდივიდუალური ჩარჩოებიდან ადამიანთა კოლექტიურ უფლებად ჩამოყალიბდა, რომელიც დღეს უკვე საფუძველს იღებს არა მარტო კონვენციის მე-2 და 25-ე, არამედ 1-ლი, მე-8 და მე-13 მუხლებიდან .

ადამიანის უფლებათა ამერიკათშორისმა კომისიამ მხოლოდ 1998 წელს აღიარა, რომ უფლება მთელს საზოგადოებას ეკუთვნოდა და იგი მე-13 მუხლში ასახულ ინფორმაციის თავისუფლების უფლებას დაუკავშირა. თუმცა, კომისიამ მხოლოდ 1999 წელს, საქმეში *Ignacio Ellacuria v El Salvador*, განაცხადა ერთმნიშვნელოვნად, რომ დაირღვა კონვენციის მე-13 მუხლი.

კომისიის პოზიციას კარგად ასახავს საქმე *Barrios Altos v Peru*

სიმართლის ცოდნის უფლება კონვენციის მე-8 და 25-ე მუხლებს ეფუძნება, იმდენად რამდენადაც, ორივე მათგანს არსებითი მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტებისა და გარემოებების სასამართლო წესით დადგენისათვის, რომლებიც თან სდევდა ფუნდამენტური უფლების დარღვევას... ამ უფლების საფუძვლები კონვენციის მე-13 (1) მუხლშიც უნდა ვეძებოთ, რადგან ეს მუხლი აღიარებს ინფორმაციის ძიებისა და მიღების უფლებას. ამ მუხლთან დაკავშირებით, სახელმწიფოს აქვს პოზიტიური ვალდებულება, უზრუნველყოს არსებითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა... სახელმწიფო აპარატის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად და ადამიანის უფლებების დასაცავად.

კომისიის თანახმად, “სიმართლის ცოდნის უფლება” საზოგადოებას აძლევს საშუალებას, “ხელი მიუწვდებოდეს ინფორმაციაზე, რომელიც აუცილებელია დემოკრატიული სისტემების განვითარებისათვის.” გარდა ამისა, იგი მსხვერპლის ნათესავისათვის კომპენსაციის ფორმასაც წარმოადგენს.

ორ საქმეში, ამერიკათშორისმა სასამართლომ, მართალია, აღიარა სიმართლის ცოდნის უფლების არსებობა, მაგრამ არა მე-13 მუხლთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, სასამართლომ კომპენსაციის სახით დაავალა სახელმწიფოს ჩატარებინა გამოძიება, დაესაჯა დამნაშავე პირები და გამოძიების შედეგები საჯაროდ გაეგრცელებინა. გადაწყვეტილების ეს ნაწილი გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ სასამართლომ არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარა საზოგადოების მიერ ინფორმაციის ქონის უფლება, იმ სიმართლის ცოდნის უფლება, რომელიც მათ საერთო წარსულში მოხდა.

მიუხედავად იმისა, რომ “სიმართლის ცოდნის უფლება” კვლავ ჩამოყალიბების პროცესშია და, სამწუხაროდ, მას ჯერ კიდევ არ შეუძენია საერთაშორისო აღიარება, იგი მაინც შეიძლება სახელმძღვანელო პრინციპად ჩაითვალოს. თავდაპირველად შეიძლება მოგვეჩვენოს კიდევც, რომ

ვინაიდან უფლება მხოლოდ ლათინური ამერიკის რეგიონისათვის დამახასიათებელი ფენომენის შედეგად წარმოიშვა, იგი ვერ მოერგება სხვა ვითარებას. თუმცა, საერთაშორისო ამნისტიის (Amnesty International) წარმატებული აქცია, რომლითაც ორგანიზაცია ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ ნიგერიის ხალხს ჰქონდა უფლება სცოდნოდა სიმართლე ნიგერიის პრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებით, საწინააღმდეგოს მეტყველებს.

## 6. დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის უფლება “ედიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია,” მართალია, ჯერ არ არის განმტკიცებული ადამიანის უფლებათა დაცვითი სასამართლო ან სასამართლოს ტიპის ორგანოთა ავტორიტეტული განმარტებებით, - მაინც აკისრებს სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებას, უზრუნველყონ ოფიციალური დოკუმენტების ხელმისაწვდომობა. სულ ცოტა, უფლების როგორც საერთაშორისო, ისე სამივე რეგიონალურ დონეზე აღიარება სამთავრობო დანესებულებებში დაცული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების არსებობაზე მეტყველებს.

უდავოა, რომ ინფორმაციის თავისუფლების უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას. გამოხატვის თავისუფლების მსგავსად, იგი მოიცავს მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს და, შესაბამისად, შეიძლება დაექვემდებაროს შეზღუდვებს უფრო მაღალი სტატუსის მქონე ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად. ავტორიტეტიანი ადამიანის უფლებათა ორგანოების მიერ მიღებული დოკუმენტები, ასევე, დამკვიდრებული სახელმწიფო პრაქტიკა მოწმობს, რომ მიმდინარე სისხლისსამართლებრივი გამოძიების ინტერესები ერთ-ერთი ის კანონიერი ინტერესია, რომელთა დასაცავადაც ინფორმაციის თავისუფლების უფლება შეიძლება შეზღუდოს. თუმცა, ეს შეზღუდვა არ აძლევს

სახელმწიფოებს უფლებას სისხლისსამართლებრივი გამოძიება საზოგადოების ინფორმირების უფლების მიმართ კოზირად აქციოს. უფლებიდან გამონაკლისმა, პირველად “არსებითი ზიანისა” და “საზოგადოებრივი ინტერესის” ტესტი უნდა დააკმაყოფილოს.

ინფორმაციის თავისუფლების ამოსავალი პრინციპი იმის აღიარებაა, რომ დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეს უფლება აქვს გააკონტროლოს სახელმწიფოს პოლიციური დაწესებულებები, რომლებიც შეიძლება უშუალოდ შეეხონ მის ყოველდღიურ ცხოვრებას, პირად თავისუფლებასა და საკუთრებას. უფრო მეტიც, საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს სიმართლე საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ინტერესის მქონე საკითხებზე არა მარტო ცნობისმოყვარეობის გამო. როგორც კ. ტრინიდადემ სწორად შენიშნა, სიმართლის ცოდნის უფლება აუცილებელია ჭეშმარიტი დემოკრატიის დასამკვიდრებლად, დაუსჯელობის სინდრომის წინააღმდეგ საბრძოლველად და ადამიანის უფლებათა დარღვევის გამეორების თავიდან ასაცილებლად.

საერთაშორისო სამართლის განვითარების პერსპექტივიებიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის დებულება, რომელიც სამართალდაცვის ორგანოების მაქსიმალურ დახურულობას უზრუნველყოფს, მეტი რომ არ ვთქვათ, საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის შთაბეჭდილებას ტოვებს. “გამოძიების ინტერესები,” რასაც ხშირად იმონმებენ სამართალდაცვის ორგანოები, გაუბათილებელ ეჭვებს ბადებს და, სამწუხაროდ, უმეტეს შემთხვევებში, არ ემსახურება საზოგადოების ინტერესებს. დასასრულ, თუ შევეცდებით და საქართველოს კონტექსტს ამერიკათშორისი კომისიის მიერ შემუშავებულ ტესტს შევუფარდებთ, იმის განსაზღვრისათვის, უტოლდება თუ არა ჩვენ მიერ განხილული პრობლემა სიმართლის ცოდნის უფლების დარღვევას, თან თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ პრემიერ-მინისტრის გარდაცვალებასთან დაკავშირებული პასუხგაუცემელი შეკითხვები საზოგადოების

ხელისუფლებასთან გაუცხოებას იწვევს, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ქართულ საზოგადოებას აქვს უფლება, იცოდეს სიმართლე.